კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მევენახეობა და მეღვინეობა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 04-2023, 10 ნოემბერი, 2023 წელი

დადგენილება N 07–23, 10 ნოემბერი, 2023 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
მევენახეობა და მეღვინეობა **Viticulture and Enology**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
ფართო სფერო
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია
ვიწრო სფერო
სოფლის მეურნეობა
დეტალური სფერო
ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას
სწავლის სფერო
მევენახეობა და მეღვინეობა
სწავლის ხანგრძლივობა
არანაკლებ 3 წელი
სწავლების ფორმა
დასწრებული
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
სადოქტორო პროგრამა **„მევენახეობა და მეღვინეობა“** აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. **სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 50 კრედიტს.** სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. როგორც პირველი (შემოდგომის), ასევე მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას. შესაბამისად, სასწავლო წელი

დაგეგმილია 38 კვირაზე.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მევენახეობისა და მეღვინეობის დოქტორი **Doctor of Viticulture and Enology**
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი
ოლანი გოცირიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.
პროგრამის თანახელმძღვანელი
დავით მაღრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
„მევენახეობა და მეღვინეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს **დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.** პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა ჩატარდეს მისაღები გამოცდა. **გასაუბრებას (მისაღებ გამოცდებს) სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველი აბარებს სპეციალობაში (მევენახეობა და მეღვინეობა)** და უცხო ენაში იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არ ფლობს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. სპეციალობაში გასაუბრების (გამოცდის) დროს კონკურსანტს მოეთხოვება: • აჩვენოს საფუძვლიანი ცოდნა მევენახეობასა და მეღვინეობაში; • ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე და პრობლემებზე; • მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილით, კვლევის დაკონკრეტებულ სფეროს ინტერესთან და მიმართულებასთან (მევენახეობა თუ მეღვინეობა) დაკავშირებით. წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან. კონკურსანტის პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი შესაბამისი სფეროს აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან. სპეციალობაში გასაუბრების (გამოცდის) დროს უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც

ბაკალავრიატი / მაგისტრატურა დამთავრებული აქვს მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალობით, ან აქვს ამ დარგში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მევენახეობა და მეღვინეობა“ მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

სადოქტორო პროგრამაზე „მევენახეობა-მეღვინეობა“ ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

ამასთან:

- ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო და/ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.
- სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველი პირი, რომელსაც არ აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებული სერტიფიკატი, აბარებს ამ დონის შესაბამის მისაღებ გამოცდას უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org)

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 513 ქულა**
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 65 ქულა**
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: **არანაკლებ 5,5 ქულა**
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: **არანაკლებ FCE**

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ მიზანია:

მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში კვლევის თანამედროვე მეთოდებს დაუფლებული ახალი თაობის სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების აღზრდა, რომელსაც შეეძლება:
მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში მიმდინარე პროცესების მაღალი ხარისხის კვლევა და ანალიზი, გამოავლინოს ტენდენციები, მოახდინოს ახალი, ინოვაციური იდეების გენერირება-რეალიზება, კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება;
დარგში წამოჭრილი პრობლემატიკის აღმოჩენა და აღქმა-გააზრება, მისი მეცნიერული აღწერა, კვლევის მიზნის და ამოცანების ჩამოყალიბება;
შესაბამისი ცდის დაგეგმვა და განხორციელება, ცდის შედეგების სწორი ინტერპრეტაცია და დასკვნების გაკეთება;
მოახდინოს დარგის აქტუალური საკითხების კვლევისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად დაგროვილი ახალი, ინოვაციური ცოდნისა და ინფორმაციის სამეცნიერო და სხვა აუდიტორიისთვის გადაცემა და გაზიარება, გააკეთოს პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალური დასკვნები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს მათ ტრანსფორმაციასა და გავრცელებას;
კვლევის შედეგების წარდგენა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის პუბლიკაციებისა და კონფერენციების საშუალებით;
დოქტორის მომზადება, რომელსაც უნარი შესწევს აქტიურად ჩაერთოს სწავლა-სწავლების პროცესში და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ახალი ცოდნა გადასცეს როგორც საუნივერსიტეტო აუდიტორიას, ისე სხვა დაინტერესებულ პირებს;
წარმოებაში ინოვაციური სამეცნიერო სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა.

სადოქტორო პროგრამაში ინტეგრირებული კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც, თავის მხრივ, კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით, გაიცნობიეროს ცოდნის განახლებული ფარგლები. პროგრამა ხელს შეუწყობს დოქტორანტებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში უახლესი მიღწევების თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ფუნდამენტური ცოდნა, რაც არსებულის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- დარგის სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- სამეცნიერო საქმიანობის მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

შეუძლია:

- სამეცნიერო პრობლემის გამორკვევა, თემის აქტუალობის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდების შერჩევა, კვლევების შესრულება, მონაცემების დამუშავება მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით, შედეგების მეცნიერული ინტერპრეტაცია და დასკვნების ჩამოყალიბება.

უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:
კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად პუბლიკაციებში;
ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში მიღწევების გაანალიზება და კომპანიაში ანალიზის შედეგების დანერგვის შესახებ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, ახალი ეფექტიანი წინადადებების შეთავაზება და განხორციელება;
დარგის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა და თეორიულ-გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელება;
მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში სასწავლო კურსების მომზადება და სწავლება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად შეუძლია:

- მევენახეობისა და ენოლოგიის სფეროში არსებულ სამეცნიერო პრობლემატიკაში გარკვევა, კვლევის მიზნის ჩამოყალიბება; კვლევის მეთოდების შერჩევა და შესაბამისი ცდის დაგეგმვა; მონაცემთა შეკრება და სწორი დასკვნების გამოტანა;
- ცდის შედეგების წარდგენა სამეცნიერო საზოგადოებისათვის პუბლიკაციებისა და კონფერენციების საშუალებით;
- ლექციების, სემინარების და ლაბორატორიული სამუშაოს დამოუკიდებლად, პროფესორის ზედამხედველობის გარეშე ჩატარება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.
სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც. სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლა-სწავლების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ლექცია; სემინარი; ლაბორატორიული ცდა; ელექტრონული რესურსით სწავლება; დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურაზე, პრეზენტაცია.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა–განმარტება – გულისხმობს კონკრეტულ საკითხის განმარტებას და დეტალურ განხილვას; ახსნა-განმარტება ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

შემთხვევის ანალიზი - მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც სტუდენტებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს. მისი მიზანია განუვითაროს სტუდენტს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს სტუდენტები კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ადგენენ;

დისკუსია/დებატები – გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, რომელიც მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე; დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტულ საკითხთან/პრობლემასთან და მის გადაჭრასთან დაკავშირებით აზრის, იდეის ჩამოყალიბებას, ახსნას და დასაბუთებას. ეს მეთოდი სტუდენტებს საშუალება აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის მუშაობაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები წამოყენებულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით.

დემონსტრირება – გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება) - ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. ეს მეთოდი ხელს უწყობს მონაწილეებს მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონურად წარმოჩენას.

პრობლემის გადაჭრა - ამ მეთოდით სწავლების შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდი ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.

სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა - ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტთა ისეთ ურთიერთობას, რომელიც გულისხმობს აზრებისა და იდეების გაცვლას მასწავლებლის ჩაურევლად და მისი კონტროლის გარეშე. აღნიშნული მეთოდის საშუალებით მონაწილეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მათ, გაიაზრონ პრობლემის არსი და დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული

ინტერპრეტაცია.
თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი - უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლის პროცესში და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა — ინფორმაციის პასიური მიმღები. ცოდნის მიღებაში კი იგულისხმება ამ ცოდნის კონსტრუირება-აგება სტუდენტის აქტიური თანამონაწილეობით. სტუდენტი უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ის ახდენს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას და საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს საკითხს, დავალებას.

კვლევაზე ორიენტირებული სწავლება.

პრაქტიკული მუშობის მეთოდი და სხვ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები

შეფასების კომპონენტები

- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო.

შეფასების ფორმები

- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- მოხსენებები;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- შემთხვევის განხილვა/ანალიზი;
- აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას;
- შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების დემონსტრირება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

მევენახეობა-მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კონპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- **მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;**
- **შუა სემესტრულ შეფასებას;**
- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას.**

პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** დასაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.**

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ, მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის / გამოცდების შეფასებას.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია მაქსიმუმ 40 ქულის დაგროვება;**

თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამოდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20 / 30 ქულით;

- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულის ტოლია;**

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა (მათ შორის შუალედური გამოცდის / გამოცდების) და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია.**
- **კრედიტი ათვისებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა ასეთია:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მას მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორის კვალიფიკაცია / აკადემიური ხარისხი.

დასაქმების სფერო

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამოდის რა მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის შექმნის ინიციატივით უნივერსიტეტის ბაზაზე, მისი კურსდამთავრებულები გარდა სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისა, უპირველესად დასაქმდებიან ამავე უნივერსიტეტში სამეცნიერო, პედაგოგიურ და აკადემიურ პოზიციებზე.

გარდა ამისა, მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორს ასევე ეძლევა შესაძლებლობა იმუშაოს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში საქართველოში, სადაც საჭიროა მევენახეობა და მეღვინეობის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები.

ასეთ ორგანიზაციებს შორის დასაქმების შანსები იზრდება იმ დაწესებულებებში, სადაც არსებობს სამეცნიერო და უმაღლესი პედაგოგიური კადრების საჭიროება და ვისთანაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

პროგრამის სტრუქტურა

მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (50 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან.

სასწავლო კომპონენტი (50 ECTS)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. **დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი 50 კრედიტს მოიცავს.**
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (45 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (45 ECTS)

აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის - **(5 ECTS);**
კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში - **(10 ECTS);**
სწავლების თანამედროვე მეთოდები - **(5 ECTS);**
სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისთვის - **(5 ECTS);**
სტატისტიკური კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში **(10 ECTS);**
პროფესორის ასისტენტობა - **(10 ECTS);**
თემატური სემინარი - **(10 ECTS).**

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)
თანამედროვე აქტუალური საკითხები მევენახეობაში - **(5 ECTS);**
თანამედროვე აქტუალური საკითხები მეღვინეობაში **- (5 ECTS).**

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელად და/ან თანახელმძღვანელად მოიწვიოს საქართველოს სხვა უნივერსიტეტის პროფესორი.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელად და/ან თანახელმძღვანელად მოიწვიოს უცხოელი პროფესორი.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენცია კვლევითი კომპონენტის ნებისმიერი ელემენტის შესრულებისას უხელმძღვანელოს უცხოელ დოქტორანტს, რომელსაც სურვილი ექნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განახორციელოს სადოქტორო დისერტაციის კვლევის ნაწილი, ან კვლევა სრულად. ასეთი სურვილის შემთხვევაში, კსუ უფლებას აძლევს უცხოელ დოქტორანტს ისარგებლოს იმ კვლევითი ინფრასტრუქტურით და უფლებებით, რითაც სარგებლობს ქართული პროგრამის დოქტორანტი.

კავკასიის საერშორისო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უცხოეთის უნივერსიტეტში და/ან კვლევით ცენტრში გააგზავნოს დოქტორანტი ერთი სემესტრის განმავლობაში და უზრუნველყოს მისი სრული დაფინანსება.

სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული/ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.
დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, მისი წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია **„სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის სხდომის #32 ოქმით დამტკიცებული დებულებით (იხ.www. ciu.edu.ge).**
სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა (სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი), ასევე დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი და საბოლოო შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.
კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს,

შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მევენახეობა და მეღვინეობის დოქტორის კვალიფიკაცია / აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა სასწავლო კომპონენტის (50 კრედიტის) სრულად ათვისება.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა აგრეთვე:

- სტატიის პუბლიკაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ და უნივერსიტეტის მიერ ამ მიზნით აღიარებულ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (პირადად მოხსენების გაკეთება). (დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით);
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტი თავისუფლდება სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ვალდებულებისაგან, თუ მას სადოქტორო თემასთან დაკავშირებით გამოცემული აქვს შესაბამისი მონოგრაფია.

მევენახეობა და მეღვინეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციათა რუქა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები			
1.	**DVITENOL001**	აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის	X	X	
2.	**DVITENOL002**	კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში	X	X	X
3.	**DVITENOL003**	სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X
4.	**DVITENOL004**	სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის	X	X	X
5.	**DVITENOL005**	სტატისტიკური კვლევის მეთოდები მევენახეობასა და მეღვინეობაში	X	X	X
6.	**DVITENOL006**	პროფესორის ასისტენტობა	X	X	X
7.	**DVITENOL007**	თემატური სემინარი	X	X	X
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები			
8.	**DVITENOL008**	თანამედროვე აქტუალური საკითხები მევენახეობაში	X	X	X
9.	**DVITENOL009**	თანამედროვე აქტუალური საკითხები მეღვინეობაში	X	X	X
10.	**DVITENOL0010**	განათლების მენეჯმენტი	X	X	X
~		**კვლევითი კომპონენტი**			
11.	**DVITENOL0011**	კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი		X	X
12.	**DVITENOL0012**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1		X	X
13.	**DVITENOL0013**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2		X	X
14.	**DVITENOL0014**	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3		X	X
15.	**DVITENOL0015**	დისერტაციის დასრულება და დაცვა	X	X	X